შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-01/43

თბილისი **“ 03 “ სექტემბერი 2021 წ.**

შემოდგომის სემესტრში მობილობის ვადების და წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხის განსაზღვრის შესახებ:

საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის 10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებისა და სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2021 წლის • 04 აგვისტოს N1.1/63 ბრძანების, გთუნის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-9 მუხლის, საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა უნივერსიტეტში რეგისტრაციის ვადები:

- ელექტრონულ პორტალზე დადებითი შედეგის შემთხვევაში სტუდენტის უნივერსიტეტში ონლაინ რეგისტრაციის და აუცილებელი დოკუმენტაციის წარდგენის ვადა - 2021 წლის 06 სექტემბრიდან -16 სექტემბრის ჩათვლით;

- უნივერსიტეტში მობილობით გადმოსვლის სტუდენტთა კრედიტების აღიარება და გაცნობა 2021 წლის 06 სექტემბრიდან -16 სექტემბრის ჩათვლით;

- მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა სამართლებრივი აქტების პროექტების (თანდართული ელექტრონული ფორმით) მართვის სისტემაში წარდგენის ვადა - 2021 წლის 17 სექტემბერი;

- სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის თაობაზე ბრძანების გამოცემის ვადა - 2021 წლის 01 ოქტომბრამდე;

- სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ გამოცემული ბრძანების საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში ასახვის ვადა - 2021 წლის 04 ოქტომბრის ჩათვლით;

- სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ გამოცემული ბრძანების მართვის სისტემაში წარდგენის ვადა - 2021 წლის 04 ოქტომბრის ჩათვლით;

- მობილობით გადასული სტუდენტების მიმართ სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანების გამოცემის ვადა - 2021 წლის 07 ოქტომბრის ჩათვლით;

- მობილობით გადასული სტუდენტების მიმართ სტატუსის შეწყვეტის შესახებ გამოცემული ბრძანების საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში ასახვის ვადა - 2021 წლის 07 ოქტომბრის ჩათვლით;

- მობილობით გადასული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანების (თანდართული ელექტრონული ვერსიით) მართვის სისტემაში წარდგენის ვადა - 2021 წლის 07 ოქტომბრამდე;

- მობილობით გადასული სტუდენტების მიმართ სტატუსის შეწყვეტის შესახებ გამოცემული ბრძანებიდან ამონაწერის (თანდართული დოკუმენტებით) გაცემის ვადა - სტუდენტის მიმართვიდან 1 კვირა.

2. განისაზღვროს წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა:

- განცხადება (რექტორის სახელზე);

- სრული ზოგადი/უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

- პირადობის მოწმობის ასლი;

- სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ვაჟებისთვის);

- სტუდენტის სტატუსის განმსაზღვრელი ყველა სამართლებრივი აქტი;

- სტუდენტის სასწავლო ბარათი (დამოწმებული ფაკულტეტის ბეჭდით და დეკანის ხელმოწერით).

3. დოკუმენტების მიღება დაევალოს რექტორის და აღმასრულებელი დირექტორის აპარატის უფროსს

4. უნივერსიტეტში გადმოსვლის მსურველთა კრედიტების აღიარება დაევალოს უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს სასწავლო პროცესის მართვისა და მეცნიერების სამსახურთან შეთანხმებით

5. ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას

6. დაევალოს კანცელარიას ბრძანება გადასცეს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს

ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

რექტორი გიორგი მათიაშვილი